

შპს ლენდო
ფინანსური ანგარიშგება

Lendo.ge

2022 წელი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....5
2. მომზადების საფუძვლები5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....6
4. ფული და ფულის ეკვივალენტები6
5. კლიენტებზე გაცემული სესხები.....6
6. სხვა აქტივები.....6
7. სხვა ვალდებულებები.....7
8. საპროცენტო და სხვა შემოსავალი სესხებიდან7
9. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები7
10. პირობითი ვალდებულებები7
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები8


შპს ლენდო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,502	550,560
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,600,180	2,864,230
სესხის გაუფასურების ანარიცხი	-409,274	-356,207
ძირითადი და არამატერიალური აქტივები	17,434	15,362
სხვა აქტივები	26,214	484,620
მთლიანი აქტივები	1,250,057	3,558,565
ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	103,500	139,281
მთლიანი ვალდებულებები	103,500	139,281
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	18,070,062	19,773,779
დაგროვილი მოგება(ზარალი)	-16,923,506	-16,354,495
მთლიანი კაპიტალი	1,146,557	3,419,284
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	1,250,057	3,558,565

შპს სესხის გამცემი სუბიექტი „ლენდოს“-ს დირექტორის მინდობილი პირი
მალხაზ ბულდიაშვილი



შპს ლენდო


ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

	2022	2021
საპროცენტო და სხვა შემოსავალი სესხებიდან	651,803	4,721,588
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების წმინდა ცვლილება	-172,425	
შემოსავალი სესხებიდან	479,378	4,721,588
დასაქმებულთა ანაზღაურება	-827,288	-640,521
იჯარის ხარჯი	-68,969	-74,864
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-227,983	-4,793,734
არასაოპერაციო შემოსავალი	1,433	
წმინდა მოგება(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	17,945	-26,725
მოგება დაზღვევამდე	-625,483	-814,256
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი	-625,483	-814,256

შპს სესხის გამცემი სუბიექტი „ლენდოს“-ს დირექტორის მინდობილი პირი

მალხაზ ბუდდიშვილი



შპს ლენდო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლენდო (შემდგომში - „ორგანიზაცია“) დაარსდა 2015 წლის 8 დეკემბერს. ორგანიზაცია რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404504844.

2020 წლის 21 ივლისამდე ბაზარზე ოპერირებდა როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და საქმიანობას წარმართავდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, მას ზედამხედველობას უწევდა საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაცია მომხმარებელს სთავაზობდა სესხებს 30-დან 720 დღემდე ვადით. 2019 წლიდან ორგანიზაციამ შეწყვიტა სესხების გაცემა, ხოლო 2021 წლის 2 თებერვალს დასრულდა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდოს ლიკვიდაციის პროცესი.

დღეისათვის კომპანია საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებულია, როგორც სესხის გამცემი სუბიექტი.

2022 წლის 29 დეკემბერს შპს ლენდოს 100% მფლობელი გახდა ნინო თავამაიშვილი (პ/ნ 33001020674).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის იურიდიული მისამართია გვირილების ქ. #9, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოთათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL), შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, დამგვრალეების გარეშე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

შპს ლენდო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხასა და ფულს გზაში.

	2022	2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,502	550,560

5. კლიენტებზე გაცემული სესხები

კომპანიის ანგარიშგებაში ასახული სესხები გაცემულია 2019 წლამდე პერიოდში. კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხის თანხა მოიცავს გაცემული სესხის ძირს და მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.

სესხის ძირი	1,564,929
დარიცხული პროცენტი	35,251
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,600,180

6. სესხის გაუფასურების ანარიცხები

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა მოითხოვს სესხების გაუფასურების ანარიცხების დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული სასესხო აქტივებზე, რომელიც აღრიცხულია, სხვა სრულ შემოსავალში. ორგანიზაცია ახდენს აქტივების ჯგუფურ შეფასებას, განსაზღვრავს თითოეული ჯგუფისთვის გაუფასურების მოსალოდნელ ალბათობას და ამის შესაბამისად ახდენს ამ ჯგუფის შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნას. ჯგუფების კატეგორიები იქმნება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. 2022 წლის დასრულებული წლისთვის გაუფასურების ანარიცხმა შეადგინა 409,274 ლარი, იგივე მაჩვენებელი 2021 წლის შესადარის პერიოდში იყო 356,207 ლარი.

შპს ლენდო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

7. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს მომწოდებელზე ავანსად გადახდილ თანხებს და მას პროცენტი არ ერიცხება.

8. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობით აღებულ ვალდებულებას, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება და მოიცავს გასადახდელ გადასახადებს.

9. საწესდებო კაპიტალი

2022 წელს საწესდებო კაპიტალი შემცირდა 1 703 717 ლარით, კაპიტალიდან თანხის გატანის გზით და შეადგინა 18,070,062 ლარი (2021- 19,773,779 ლარი).

10. საპროცენტო და სხვა შემოსავალი სესხებიდან

საპროცენტო და სხვა შემოსავლები მოიცავს სესხზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს, ჯარიმებს და სესხის გადავადების საკომისიოს. საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

11. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

აიტი და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	- 137,626
სასამართლოს ხარჯი	- 47,991
სხვა ხარჯი	- 18,484
კომუნიკაციის ხარჯი	- 13,175
დაცვის ხარჯი	- 4,471
დაზღვევა	- 4,451
კომუნალურის ხარჯი	- 1,785
	- 227,983

შპს ლენდო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს სესხის გამცემი სუბიექტი „ლენდოს“-ს დირექტორის მინდობილი პირი

მალხაზ ბუდიაშვილი

